გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 134

2020 წლის 9 ოქტომბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩის №18 საცხოვრებელი კორპუსში (საცხოვრებელი კორპუსის შუაში) „ხელოვნური უსწორმასწორობების" განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩის №18, №20 და №22 საცხოვრებელი კორპუსების მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, სადაც აღნიშნავენ, რომ აღნიშნულ მისამართზე საჭიროა ავტოტრანსპორტის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების დაყენება. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეისწავლა საცხოვერებლ კორპუსებში არსებული მდგომარეობა. საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩის №18 საცხოვრებელ კორპუსში (საცხოვრებელი კორპუსის შუაში) შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა":

„ხელოვნური უსწორმასწორობა" უნდა დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა"; ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა" (30 კმ/სთ); გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №18-ს მიმდებარედ (საცხოვრებელი კორპუსის შუაში) შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა".

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა" დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა";

ბ) 3.24 „მაქსიმალურისიჩქარის შეზღუდვა" (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა".

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე